საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 9 20 00335647

10/04/2020

**ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 02 აპრილის №326461 და 2020 წლის 07 აპრილის №332140 სამსახურ ებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. განისაზღვროს ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადა 2020 წლის პირველი ივლისიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით, შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის:
ა) ყველა საჯარო სკოლისთვის, გარდა, სსიპ - 220 - ე საჯარო სკოლისა და სსიპ - გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმისა;
ბ) ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული კერძო სკოლებისთვის.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა განხორციელდეს ელექტრონული ფორმით. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით.

3. დაევალოს ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციის სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.
4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ